გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2018 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გონიოსა და კვარიათის სანაპირო ზოლში მდებარე, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი მიწის ნაკვეთების ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქირის საწყისი წლიური საფასურები შემდეგი ოდენობებით:

N	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ)	1 კვ.მ. მიწის ქირის საწყისი წლიური საფასური (ლარი)		
				საპლაჟო იფრასტრ.განსა თავსებლად	მსუბუქი კონსტრუქ. განსათავსებ.	ბაზირების პუნქტის განსათავსებლად
1	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი	05.36.26.015	31073,00	29,00	60,00	_____
2	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი	05.36.24.085	18301,00	29,00	60,00	_____
3	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო	05.36.24.022	22906,00	27,00	60,00	_____
4	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო	05.36.24.084	69502,00	27,00	60,00	134,00
5	ქ. ბათუმში, დასახლება გონიო	05.36.24.083	146994,00	27,00	60,00	_____

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. კომახიძე) მიეცეს თანხმობა წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული, 1 კვ.მ. მიწის ქირის საწყისი წლიური საფასურის მიხედვით ობიექტების განკარგვისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივის ღონისძიებების განხორციელებაზე.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4 . წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე